ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №139/01-01
12.06.2018 წ.
დანართი №1

ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის სტიპენდიების მიმღებთათვის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შორის ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შერჩევა 2018 წლის 5-25 აგვისტოსათვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
სტიპენდიატები შეირჩევიან კანდიდატთა შორის, რომლებმაც გაიარეს ინგლისური ენის კომპეტენციის შესამოწმებელი ტესტირება ან/და ფლობენ უცხო ენის ცოდნის (მინიმუმ B2 დონეზე) დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატებს.

3. სტიპენდიატის შერჩევა
ა) სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
1. მოტივაციის წერილი;
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე);
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA).

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას;
ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება (არაუმეტეს 10 ქულით) ქვემდებარე წესით:

ბრწყინვალე - 10 ქულა
ძალიან კარგი - 9 ქულა
კარგი - 8 ქულა
დამაკმაყოფილებელი - 7 ქულა
საკმარისი - 6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი - 5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა
სტიპენდიატის გამოვლენა ხდება სარეიტინგო ქულის საფუძველზე.